

ივერია

ქართულ - ევროპული ინსტიტუტის უწყისი

IVERIA

Revue de l'Institut Géorgien - Européen

№ 1

თბილისი - პარიზი
1992

გამომცემლობა: ქართულ-ევროპული ინსტიტუტი და გამომცემლობა GCI.

რედაქტორები: ჯანრი კაძია შაჰიმან ხელადე;

სარედაქციო საბჭო: სალომე ქარიველი მზია ბაქრაძე, ზაზა ალექსიძე,
ზურაბ კიკნაძე, მიხეილ ნახევრელი, გურამ თევზაძე,
ზურაბ წერეთელი.

გამომცემის რედაქტორი: დიმიტრი ესაკია.

ÉDITEURS: l'Institut Georgien-Européen et Maison d'Édition GCI.

RÉDACTEURS: Djanri Kachia, Chadiman Kheladzé

CONSEIL ÉDITEURIAL: S. Kartveli, Mzia Bakradzé, Zaza Aleksidzé, Zourab
Kiknadzé, Mikheil Nanéichvili, Guram Tevzadzé,
Zourab Tserétheli.

RÉDACTEUR D'ÉDITION: Dimitri Essakia.

რედაქციის მისამართი
380093 თბილისი, ზოია ზუბაძის ქ.
☎ 36-52-91 FAX

© გამომცემლობა GCI, 1992

პეტრე იბერი

საქართველოს საკითხი

ძირითადი საკითხი, რომელიც წარმოიშობა თავისუფლებისათვის ბრძოლის პირობებში, იქნება ეს ბრძოლა უცხოელი დამპყრობელის თუ შინაური დიქტატორის წინააღმდეგ, არის საკითხი იმ საშუალებისა და ფორმის შესახებ, რომლითაც დაპყრობილ ერს შეუძლია თავის განთავისუფლება. ერის (ხახელმწიფოს) დაპყრობის არცერთი დასახელებული ფორმა თავისი არსებით არ არის კანონიერი (ლეგიტიმური). ამ თვალსაზრისით მეტი და ერთმნიშვნელოვანი გარკვეულობა სუფევს საერთაშორისო სამართალშიც და საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრშიც ერთი ქვეყნის (ხახელმწიფოს) დაპყრობის არაკანონიერების საკითხში და გმობს ამ ქმედებას. ამავე დროს მებრძოლი ერი (ხახელმწიფო) ჰპოუვს საერთაშორისო დახმარებას მორალურს ან რეალურს (სამხედროს). ამის მაგალითები მრავლად გვაქვს უკანასკნელი ათწლეულის ისტორიაშიც, მოყოლებული ავღანეთიდან და ხელ უკანასკნელ ერაყ-საერთაშორისო ძალების ომამდე კუვეიტის გასანთავისუფლებლად ერაყის აგრესიისაგან გაეროს გადაწყვეტილებით. ერაყს არაერთგზის შესთავაზეს ნებით გახულიყო კუვეიტიდან და შეეწყვიტა აგრესია ანუ აღედგინა საერთაშორისო სამართლიანობა. და როდესაც ამ თხოვნამ არ გასჭრა, ერაყის მიმართ გამოყენებულ იქნა კ ა ნ ო ნ ი ე რ ი და ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი საშუალება – საერთაშორისო გაერთიანებული ძალების სამხედრო ოპერაციები. სამართლის ცნობილი სპეციალისტი, სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი მიხეილ შუსხელიძეილი ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში აღნიშნავდა, რომ „მწარედ მოსტყუვებიან ის ერნი, რომელნიც მათ იმეღს დამოუკიდებლობის მოპოვებისა თვით-გამორკვევის უფლებასუდ დააპყრებენ. ეს ნიშნავს ნანადირევს ხელითგან გაშუბას მისი ანრდილისათვის. მართალია, ერს საზიზღარი ბატონობისაგან გასანთავისუფლებლად გარდა აჯანყებისა, დღესაც არა აქვს საშუალება, როგორც გუშინ არ ჰქონდა, მაგრამ აჯანყება და ძალით მოქმედება კანონიერი ზღება მაშინ, როდესაც ხაქმე წარმოებს იმ იურიდიული უფლების აღსადგენად, რომელიც ერს უკანონოდ აპხადეს, ხოლო იგი არ იქმნება აუცილებლად კანონიერი, თუ ხაქმე წარმოებს, პირ-იქით, ახალი იურიდიული უფლების მოხაპოვებლად.“ (ერთა თვით-გამორკვევის უფლებისათვის – „ბედი ქართლისა“ 18, 1954 წ. გვ. 16.)

წართმეული უფლების აღდგენის კანონიერება დადასტურდა ქართველი ერის განუწყვეტელი წინააღმდეგობით დამპყრობლისადმი, საბჭოთა რუსეთისადმი. ეს წინააღმდეგობა 1921 წლიდან – 1924 წლამდე შეიარაღებული აჯანყების სახით წარმოებდა, 1924 წლიდან 1991 წლამდე კი იგი იღებს ხოციალური, პოლიტიკური, ინდივიდუალური თუ ჯგუფური წინააღმდეგობისა და პროტესტების სახეს ანუ მშვიდობიანი წინააღმდეგობის ფორმაში ვლინდება, შესაბამისად სამართლებრიობის და კანონიერების მოხაპოვებელი ბრძოლის ფორმების თანამედროვე გაგებისა. ეს ბრძოლა დაკვირგვინდა რეფერენდუმის გზით 1991 წლის 9

აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით. სწორედ ამ აღდგენაში ეპოქების ჩვენ დღეს სამართლებრივ საფუძველს ჩვენი ბრძოლის კანონიერებისა და ამან მისცა გარკვეულწილად საშუალება ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წლის 26 დეკემბერს (ე. ი. მაშინ, როდესაც დიქტატორი გამსახურდია თავის ბუნკერში იყო საკვტილი და ოპოზიციური შეიარაღებული ძალები უტყვევდნენ მას!) იმავე დროს, როდესაც მან ცნო ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაცვლად 11 ყოფილი სს რესპუბლიკის მიერ შექმნილ „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანებაში“ (თანამეგობრობა) შემავალი სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა. ამგვარად, დღეს საქართველო, ისევე როგორც ბალტიისპირა ქვეყნები (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) არის საერთაშორისოდ ცნობილი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელზეც ვრცელდება ყველა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები. ამ მხრიდან საქართველოს არავითარი წინააღმდეგობა არ ეღობება საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებელ საერთაშორისო სამართლებრივ სუბიექტად გამოსახველად.

უფრო რთულად, ყოველ შემთხვევაში ტექნიკურად, არის საქმე, როდესაც საკითხი ეხება შინაური დამპყრობლებისაგან, დიქტატორის აგან განთავისუფლებას. აქ საკითხს ართულებს ის, რომ მეოცე საუკუნის დიქტატორები, ჩვეულებრივ ლეგიტიმური, კანონიერი გზით, არჩეუნიდითა და უმრავლესობის მხარდაჭერით „დემოკრატიად“ და „მოღვაწეებად“ მოდიან სახელმწიფოს სათავეში და თანდათან იპყრობენ შიგნიდან მას, ახდენენ ხელისუფლების უზურპაციას ძალმომრებით, საზოგადოების ტერორით, პრესის თავისუფლების ლიკვიდაციით, ოპოზიციონერთა დაპატიმრებით ან მოხპობით, და მათთვის დელეგირებული ხელისუფლების ძალაუფლებრივ პირად საკუთრებად გადაქცევით. ამავე დროს ყოველივე ამას იხინი სხადიან თავის ძალაუფლების ლეგიტიმურ, კანონიერ უფლებაზე მითითებით და მორჩილი უმრავლესობის მხარდაჭერით აუქმებენ საზოგადოების არსებობის კანონიერ საფუძველს. არსებითად, სახელმწიფო ხელისუფლების ამგვარი უზურპაცია და ძალაუფლებად გარდაქმნა არის თავისთავად არა კანონიერი, არალეგიტიმური მოქმედება, რომლის მიმართ არავითარი სხვა კანონიერი, ლეგიტიმური ბრძოლის საშუალება არ არსებობს, გარდა აჯანყებისა.

ყოველი ცდა დიქტატორის მხრიდან თავისი არაკანონიერი მოქმედების და ძალაუფლების „ლეგიტიმური“ დაცვისა „დემოკრატიული გზით“ არჩევასა და უმრავლესობაზე მითითებით, ისევე, როგორც თავის მოწინააღმდეგეთა (აჯანყებულთა) მოქმედების უკანონობის მტკიცება, წარმოადგენს სამართლისა და კანონის ცინიკურ უგულვებეყოფას. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ პიტლერიცა და სტალინიც, მუსოლინიცა და ჩაუშესკუც საესებით ლეგიტიმური გზით იყვნენ მოსულნი ხელისუფლების სათავეში და სარეგლობდნენ მასების მხარდაჭერით. მაგრამ მათ თავისი ხელისუფლება ძალის უფლებად (ძალაუფლებად) გარდაქმნეს და დაამყარეს დიქტატურა, რომლის ბუნებისა და ხასიათის შესახებ დღეს არავის არააქვს ორი აზრი. ამდენად, ლეგიტიმური დიქტატურა არ არსებულა, ყოველ შემთხვევაში თანამედროვე ისტორიაში, და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან დიქტატურა კანონსაწინააღმდეგო ფორმაა ძალაუფლებისა.

იმდენად, რამდენადაც ეს შინაგანი დაპყრობა იფარგლება მოცემული სა-

ხელმწიფოს საზღვრებით, იგი არ ექვემდებარება საერთაშორისო სამართალს და წარმოადგენს მოცემული სახელმწიფოს შინაურ საქმეს, რომელშიც ჩარევას კრძალავს ეს სამართალი.

დიქტატურისაგან ან შინაური დამპყრობლისაგან განთავისუფლების ლეგიტიმურ, კანონიერ გზად, მხოლოდ ერთადერთი გზა რჩება — **აჯანყება**. აქ აჯანყებულთა რაოდენობას კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ მათ მიერ დიქტატორის ჩამოგდების ფაქტს და იმ **შემდგომ ნაბიჯებს**, რომლებმაც უნდა დაადგინონ: ეს აჯანყება მოხდა წართმეული უფლებების და კანონების აღსადგენად ანუ კონსტიტუციური ხელისუფლებისა და თავისუფლებების აღსადგენად, თუ ახალი ძალაუფლების დასამყარებლად. სწორედ ამან განაპირობა ის „ღია კარები“, რომლებითაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება საქართველოს ხელისუფლებისადმი დამოუკიდებლობის ცნობის დროს და შემდეგაც. ეს „ღია კარები“ ის ხუთი პრინციპი, რომელთა დაცვის გარეშე ამერიკის მთავრობა არ გადადგამს შემდგომ ნაბიჯს საქართველოსთან (და ზოგ სხვა სახელმწიფოსთანაც) დასაბრუნებლად და არ დაამყარებს პირდაპირ დიპლომატიურ ურთიერთობებს (საელჩოთა დონეზე). მაშასადამე, საკითხი ეხება იმ ნაბიჯებს, რომლითაც დიქტატურის დამშარცხებელმა პოლიტიკურმა ძალამ უნდა მოახდინოს თავისი ლეგიტიმაცია და ეს ნაბიჯები აუცილებლად უნდა იყოს **დემოკრატიისაკენ, სამართლისა და კანონიერებისაკენ** მიმართული, ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ის წყობა, რომელიც დამოუკიდებლობასთან ერთად უნდა აღმოვაჩინოთ საქართველოში და რომელიც დიქტატურამ არ აღადგინა (თვით დამოუკიდებლობის კანონიერებაც დააყენა კითხვის ქვეშ!) არის **დემოკრატია** დაფუძნებული **1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაზე**.

ამგვარად, დაისძის საკითხი თუ როგორ უნდა მოხდეს შექმნილ ვითარებაში აღდგენა (და დადასტურება) დემოკრატიული წყობისა, რომელიც დიქტატურის მიერ იქნა უზურპირებული.

ღელეს საქართველოში მოქმედებს სამხედრო საბჭო. სამხედრო საბჭოს არსებობის აუცილებლობა მტკიცდება იმ მდგომარეობით, რომელიც შექმნილია საქართველოში, დიქტატორის ჯერ კიდევ მადესტაბილიზებული ბრძოლით თავის უკანონოდ მიტაცებული ძალაუფლების დასაბრუნებლად, სამოქალაქო ომისაკენ მოწოდებებით, ეთნიკონფლიქტების ესკალაციით და სხვა. ამიტომ, სამხედრო საბჭო უნდა მოქმედებდეს მანამ, ვიდრე საქართველოში არ მოხდება **მდგომარეობის სრული სტაბილიზაცია, არ ჩატარდება საყოველთაო არჩევნები და არ შეუდგება მუშაობას ახალი დემოკრატიული პარლამენტი და მთავრობა**, რომელიც მოხსნის სამხედრო საბჭოს უფლებამოსილებას, რამტკიცებს საქართველოში დემოკრატიულ წყობას, შექმნის შესაბამის ორგანოებს და აამოქმედებს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას შესაბამისი ცვლილებებით (როგორც მაგალითად: კერძო საკუთრების კანონის უფრო მკვეთრი და პოზიტიური ფორმულირება, თუ საერთო აზრი იქნა — კონსტიტუციური მონარქიის დაფუძნება და მეფისათვის საერთო-სახალხო წარმომადგენლობითი ინტეგრალური უფლების მინიჭება შთამომავლობით და სხვა).

ღელეს ზეეს გვაქვს, არჩევნებამდე, კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯის გადადგმის შესაძლებლობა, აღდგენილი დემოკრატიული წყობის ლეგიტიმირებისა და მდგომარეობის

რეობის სტაბილიზებისათვის სამხედრო საბჭოს მოქმედებასთან ერთად.

ეს ნაბიჯია **საერთო-სახალხო ანუ დამფუძნებელი დარბაზი** (ანუ დამფუძნებელი კრება, როგორც იყო 1918 წელს, რომელზედაც 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს დამოუკიდებლობა დაადასტურა 1919 წელს არჩეულმა პარლამენტმა და ცნო 20 სახელმწიფომ. მათი უმრავლესობის მიერ ეს ცნობა ძალაშია. საჭიროა მხოლოდ მათთან ურთიერთობის აღდგენა). თვით სამხედრო საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ უადრესად სამართლებრივად და დემოკრატიულად შედგენილ მიმართვაში საქართველოს მოსახლეობისადმი (იხ. საქ. რესპ. მ იანვ. 1992 წ.) სამხედრო საბჭომ განაცხადა რომ: „პოლიტიკურ პარტიებს მიეცათ წინადადება შექმნან საკონსულტაციო დარბაზი, რომელიც მოამზადებს ახალ საპარლამენტო არჩევნებს და შეიმუშავებს საქართველოს პოლიტიკური განვითარების პროგრამას. დარბაზში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიას და ორგანიზაციას, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, აგრეთვე კერძო პირებს, რომელთა მოწვევასაც დარბაზი მიზანშეწონილად ჩათვლის.“

საკონსულტაციო დარბაზის ეს მოდელი სავსებით შეესატყვისება იმ ერთდერთ წარმომადგენლობით, ლეგიტიმურ, მაკონსტიტუირებელ ორგანოს, რომელსაც შეუძლია **დამფუძნებელი კრების** სახით გამოხატოს თავისი ერთობლივი ნება დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმის აღდგენის შესახებ (მათ შორის კონსტიტუციური მონარქიის ფორმაც). პროფ. მიხეილ მუსხელიშვილი ეხებოდა რა დამპყრობელი ერების წარმომადგენლობის საკითხს აღნიშნავდა: „STATUS QUO ANTE რჩება თავისი ფორმითა და იურიდიული შინაარსით. უფლება რჩება ხელუხლებელი, თუნდაც გაუნადგებელი, იძლევა კ ა ნ ო ნ ი ე რ და გ ა მ ა რ თ ლ ე ბ უ ლ საფუძველს წარმომადგენლობის შესაქმნელად.“

ხოლო ერთი აუცილებელი პირობით: წარმომადგენლობა უნდა ემყარებოდეს დემოკრატიული კანონების პრინციპზე. დამონებული ერის შვილებმა, რომლებმაც თავი დააღწიეს ღვინას და სარგებლობენ სიტყვის თავისუფლებით, უნდა გამოხატონ ან წარმოადგინონ სწორად და მთლიანად ერის პოლიტიკური პიროვნების ყველა ელემენტები.

პოლიტიკურ ნიადაგზე ერის თავისუფლება გამოიხატება უმთავრესად პოლიტიკურ აზრთა და მიმდინარეობათა სხვა და სხვაობაში და მათ გამომხატველ პარტიათა არსებობაში. ძეგორე მხრივ ეს თავისუფლება გამოიხატება წარმომადგენლობითი ორგანიზაციის დაარსებით, თავისუფალი არჩევნების ნიადაგზე, და რომელსაც მინიჭებული აქვს მანდატი იმოქმედოს ერის სახელით ან ერისათვის.

ამნაირად, ჩამოყალიბება დამონებული ერის წარმომადგენლობისა ძნელი არ არის. საჭიროა შემოკლება ყველა ყოფილი ორგანიზაციის წარმომადგენელთა: პარლამენტის, მთავრობის და **გამოუკლებელი პოლიტიკური ორგანიზაციებისა**. წარმომადგენლობის ხასიათის გასაძლიერებლად შეიძლება დაემატოს სოციალური და კულტურული ორგანიზაციები, თუ ასეთები არსებობენ. ასეთ ორგანოს, რომელიც იქნება ნამდვილი სარკე და გამომსახველი ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ნიუანსებისა, შეუძლია მოითხოვოს წარმომადგენლობის უფლება თავისუფლებას მოკლებული ერის სუვერენობისა.

ხოლო აქ ერთი სიფრთხილეა საჭირო: თუ წარმომადგენლობის შედგენაში

დაშვებულია რაიმე შერწყვა და გამოხატვის, გამორიცხულია რომელიმე არსებული ორგანიზაცია, მაშინ მცირეოდენი წინააღმდეგობაც კი საკმარისია, რომ შეიღწახოს ღირებულება და ძალა ამ ორგანოს და მისი მოქმედება გამოცხადდეს უზურპაციად.

ამნაირად, წარმომადგენლობის სიმტკიცე და მისი ცნობა დამოკიდებულია ერის თავისუფალ მოქალაქეთა ურთიერთ შეთანხმებაზე.

ის რაც კანონიერი და გამართლებულია ქვეყნის გარეთ, ასწილად უფრო გამართლებული და კანონიერია (ყველა აღნიშნულ პრინციპთა დაცვით, ცხადია) ქვეყნის შიგნით, დიქტატურისაგან განსაზღვრულობის დროს. ამრიგად, დამფუძნებელი კრება (დამფუძნებელი დარბაზი) არის ერთადერთი ლეგიტიმური წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც შეუძლია შეასრულოს (არჩევნებამდე) სახელმწიფოს შინაგანი ცხოვრების მკაცრად რეგულირება და მასტაბილიზებული რეალი. ამავე დამფუძნებელ დარბაზს შეუძლია ლეგიტიმურ და დემოკრატიულ, დემოკრატიის დაცვის მოთხოვნების და საჭიროების საფუძველზე, არჩევნების ჩატარებამდე და პარლამენტის პირველ სხდომამდე გაუხანგრძლივოს უფლებამოსილების ვადა სამხედრო საბჭოს. ამავე დამფუძნებელ კრებას შეუძლია აღადგინოს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მოქმედება და არჩევნები ჩატაროს ამ კონსტიტუციის შესატყვისობით. ამავე დროს დამფუძნებელ დარბაზს კანონიერ და გამართლებულ საფუძველზე შეუძლია აწარმოოს ურთიერთობა სახელმწიფოს ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან, მოიწვიოს დამკვირვებლები და სხვადასხვა ქვეყნების თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ გზით ჩვენ დღესვე შევძლებთ დავანახოთ მსოფლიოს, რომ სამხედრო საბჭო და დამფუძნებელი დარბაზი დროებით მთავრობასთან ერთად წარმოადგენენ დიქტატურის წინააღმდეგ და დემოკრატიის აღდგენისათვის მებრძოლ დემოკრატიულ ორგანოებს. რომ დემოკრატიისათვის ბრძოლა გულისხმობს დიქტატორისა და დიქტატურისაგან განსაზღვრულობას, და ამ ბრძოლის აჯანყებაზე უფრო კანონიერი, ლეგიტიმური გზა და ფორმა კაცობრიობის ისტორიას დღემდე ვერ უპოვია.

ვერავინ დაწამებს ცილს სამხედრო საბჭოს, რომ მან არ შესთავაზა დიქტატორს თავისი ნებით გადადგომა, რომ მშვიდობიანად უარეყო მის მიერ უზურპირებული ხელისუფლება და აღედგინა დემოკრატიული წყობა, მაგრამ დიქტატორმა არ ინდობა ეს, სისხლიანი ანგარიშსწორების გზა აირჩია და სრულა დაიწყო, რითაც საკლებით დაადასტურა თავისი არაკანონიერება და ანტიხანოვადობა. ამის შემდეგ მხოლოდ ერთი კანონიერი გზაა რჩებოდა – შეიარაღებული ბრძოლით დიქტატორის დამხობისა. რაც სამხედრო საბჭომ, რომელიც 2 იანვარს შეიქმნა, კიდევ განახორციელა.

დამფუძნებელ დარბაზს შეუძლია მოეღოს მსოფლიოში აჩვენოს ჩვენი სწრაფვა რაც შეიძლება მალე მოხდეს ქვეყნის სტაბილიზება, რათა საშუალება მოგვეცეს შევასრულოთ ის ხუთი პრინციპი, რომელიც დღეს არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს, არამედ მთელი განვითარებული დემოკრატიული მსოფლიოს მიერ არის აღიარებული და შემოთავაზებული ურთიერთობათა კრიტერიუმად. ესაა: დემოკრატიული წყობა, კერძო საკუთრება, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, უსა-

ფრთხობა, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებები, სიტყვის და რწმენის თავისუფლება და სხვა...

ჩემის მხრიდან ნებას მივცემ თავს აღვნიშნო, შემდეგი: აუცილებელია რომ დამფუძნებელმა საბჭომ სამხედრო საბჭოს უფლებამოსილების ვადა გაუხანგრძლივოს სექტემბრამდე მაინც, ან სრულ სტაბილიზებამდე შინაგანი მდგომარეობისა, რადგან არჩევნების ჩატარებისათვის სექტემბერი უახლოეს ვადად მონანს. ეს არის **აუცილებელი დრო** იმისათვის, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა და ჯგუფებმა შეძლონ არჩევნებისათვის **სათანადოდ და თანაბარ პირობებში** მომზადება, რათა არ განმეორდეს ის სამარცხვინო კომედია, რომელსაც ზარ-ზეიმით „პირველი დემოკრატიული, საყოველთაო და თავისუფალი არჩევნები დაარქვეს“. 1990 წლის ოქტომბერში და 1991 წლის 26 მაისს. კვლავაც გავიმეორობ, არავინ არ უნდა მისცეს თავს უფლება უნდობლობა გამოუცხადოს სამხედრო საბჭოს და მის მხედრებს, რომლებმაც შექმნეს პირობა დიქტატურისაგან სრული განთავისუფლებისა, საქართველოს დამოუკიდებლობის რეალური აღდგენისა და შენარჩუნებისა (ყველა შეზობელ სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობის კვლავაც შენარჩუნებით, მაგრამ კავშირში ან თანამეგობრობაში შესვლის გარეშე), შექმნის პირობა თავისუფალი დემოკრატიული წყობის აღდგენისა. მხოლოდ ასლა შემოედევართ ჩვენ ბნელი გვირაბიდან ისტორიაში და ეს გზა სწორედ მათ გახსნეს. და ჯერჯერობით ამ გზას მხოლოდ ისინი იცავენ, თავისი ზიცოცხლის ფასად. და აქ უკვე სამხედრო საბჭოს მიერ გზაგასახსნელმა დემოკრატიულმა დამფუძნებელმა დარბაზმა უნდა იტვირთოს საქართველოში პოლიტიკური და სოციალური წყობის სწორ, სამართლებრივ, დემოკრატიულ საფუძვლებზე დაყენების მეტად რთული საქმე და გამოავლინოს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ პარტიათა და მოძრაობათა სახელმწიფოებრივი სიმწიფე.

პარიზი, 15 იანვარი 1992.

ჯანრი კაშია

ნაციონალ-ტოტალიტარული პერსტროიკა საქართველოში 1991 წ. მაისი-ნოემბერი

1991 წლის 26 მაისი რამდენიმე ღირშესანიშნაო ნიშნით შვეა პერესტროიკის ეპოქის საქართველოს ისტორიაში. ამ დღეს **საბჭოთა კავშირის მოქალაქეებმა, მცხოვრებმა სსრ კავშირის შემაღვენლობაში მყოფი დამოუკიდებლობა გამოცხადებული საქართველოს ტერიტორიაზე, აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**. თავისთავად საყოველთაო არჩევნებით პრეზიდენტის არჩევა განსაკუთრებული მოვლენა იყო სამოცდაათწლიანი ტოტალიტარიზმის ბნელ გვირაბში ჩამოყალიბებული ცნობიერებისათვის, მაგრამ საქმეს ერთგვარად ააღვივებდა ის, რომ საყოველთაო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ თავისი თავი პრეზიდენტად დაანიშნინა მის მიერვე მართულ **უზენაეს საბჭოს**, რითაც სავსებით შეამზადა ნიადაგი, ტიპოლოგიურად იოლად გამოსაცნობი ფორმით, არჩევნებში გასამარჯვებლად. მართლაც, ასე მოხდა. როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტად გადაირჩეს ძალაუფლების მპყრობელი თავისივე უზენაესი საბჭოს მიერ ორიოდე თვით ადრე პრეზიდენტად „არჩეული“ „ანტიკომუნისტი“¹ დისიდენტი ზეაიდ გამსახურდია, რომელმაც თავისი მრავალმხრივი „ნაციონალტოტალიტარული პერესტროიკები“ იმით დააგვირგვინა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის ერთსულოვანი ნების გამოხატულებას წარმოადგენდა, ხელი მოაწერინა **სრულიად არათურიდიულ პირებს**, რითაც ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს დაუკარგა იურიდიული ძალა, როგორც გაყალბებულს.² რა თქმა უნდა ყოველივე

¹ ზეაიდ გამსახურდიას ანტიკომუნისტობა ისეთივე მონაჭრობაა, როგორც მისი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში „წვლენა“ და საპატიმროში „ტანჯვა“. ყოველმა ადამიანმა, ვინც 70-იან წლებში აღევსება თვალყურს დისიდენტური მოძრაობის განვითარებას, იცის, რომ ზეაიდ გამსახურდიას საქმიანობა ანკსიის როლს ითამაშობდა და ემსახურებოდა ერთი მხრით საქართველოს ინტელიგენციის, კულუხის დისკრედიტირების და დამსივნებას, მეორეს მხრით კი საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას უქმნიდა კარგ ნიადაგს „წესრიგის დასამყარებლად“. ეს, ცხადია, ეჭვსაზე უკეთ თვით ბა-ნა ელ. შევარდნაძემ და ცბ-ს არქივებმა იცინან, რომლებიც „რატიონალ“ (!) აქამდე სდუმან.

ისიც უნდა ითქვას, რომ ზეაიდ გამსახურდიას ხელახალი წინ წაძრევის ტექნოლოგია სამაგალითოა მთელი 70 წლიანი ტოტალიტარული სისტემის ძალაუფლების ტექნოლოგიისათვის. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ტროცკის მიერ ნათქვამი - საქართველოში აჯანყების დროს „ჩვენ თუ საქართველოდან წაქაფთ, კარებს ისე გამოვიხურავთ, ქუ - ქუსე აღარ დარჩებაო“... „ანტიკომუნისტობის“ მონაჭრობის ისიც დაისტურებს რომ ბ.ნ. გამსახურდიას ძალაუფლებრივ არსენალში არავითარი სხვა მეთოდი არ აღმოჩნდა გარდა დიქტატორული-რეპრესიული და თავისთავის კულტის დიქტატორებისა (იგი არცერთ ოპონენტს არ შეხვდა საჯარო კამათში, რადგან მამის ხში ყოველივე ნათელი გახდებოდა!).

² ვითარების შეცვლის შემთხვევაში, ნების აზრით, საუკეთესო გამოსავალი დამოუკიდებლობის აქტის კუმპარიტ სახელმწიფოებრივი - სეროპორისი დოკუმენტად ქვეყნისათვის იქნება ის, რომ მას ხელი მოაწეროს არა მხოლოდ პარლამენტმა არამედ საქართველოს რესპუბლიკის მთელმა მოსახლეობამ, რომელმაც თავისი ერთმინოვნული ნება გამოაცხადა. სიმბოლურად ამ ხელმოწერებში ჩართულ უნდა იქნეს 1918 წლის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი. ამით შექმნილი განუყოფელი დოკუმენტს ეოკელი მოქალაქის მონაწილეობისა საქართველოს დამოუკიდებლობაში, რომელსაც ელარავს ვერ აღუდგება წინ და რომლიდანაც ვერავინ დაიხვეს უკან.

ამაში გასაკვირი არაფერია, და ეს ტიპოლოგიურად გამოხატავს სამოცდაათწლიანი ბნელი გვირაბის კანონებით ჩამოყალიბებული ცნობიერების „საქმიანობას“. (იხ. საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტი. გაზ: „საქ. რესპუბლიკა“, „ერი“ და სხვ. 10 აპრილი 1991 წ.). საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომელიც ქართველი ერის ერთსულოვანი ნება იყო „ოსტატურად“ დაამთხვია არსებულმა უზენაესმა საბჭომ „ქართულ ბართლომეს ღამეს“ - 9 აპრილს. პარადოქსული ვითარება შეიქმნა: ცხრა აპრილი, რომელიც საქართველოს ისტორიის სხვა დრამატულ თარიღებთან ერთად იყო საყოველთაო გლოვის დღე (სიმბოლური დღე), გადააქციეს დამოუკიდებლობის აღდგენის საზეიმო დღედ. გაიხარებ და იზეიმებ ამ დღეს - შეურაცხყოფ იმ სიმბოლურ დღეს, რომელმაც უნდა დააფიქროს და შეაკავშიროს ქართველობა მწუხარების ზეწარქვეშ; იგლოვებ - შეურაცხყოფ საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალურ გამოცხადებას და მით ქართველი ერის ნებას. უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდა ის, ვისაც მიზნად „ნაციონალ-ტოტალიტარისტული პერესტროიკა“ აქვს დადგენილი და მას ახორციელებს ისეთი შეუპოვრობით, რომ ბოლშევიკებსაც შეშურდებოდათ (შემთხვევით ხომ არ ემთხვევა მათი ტექსტები და სტილი ურთიერთს!). იგივე პერესტროიკული სტრატეგიით, მერე სიმბოლური დღე ქართველი ერის ისტორიაში და უმთავრესი დღე უახლესი ისტორიისა; 26 მაისი იქნა დამცრობილი და მას საპრეზიდენტო მანტია გადაეფარა: ამერიდან ოცდაექვს მაისს თუ იზეიმებს კაცი - ბუნებრივად პრეზიდენტ გამსახურდიას არჩევასაც იზეიმებს; ხოლო თუ მას არ აურჩევია ეს პრეზიდენტი და ოპოზიციაში უდგას, რის გამოც თელის, რომ საზეიმო არაფერი აქვს - 26 მაისსაც ვეღარ იზეიმებს. ამრიგად სტრატეგია არ ახალია - ძველია და იგი ერთთავად პერესტროიკის საერთო კონტექსტში ჯდება: ნაციონალ-ტოტალიტარიზმით ყველა არსებული ალტერნატივის და შემორჩენილი ვარიანტული სიმბოლოების მოსპობა მათი გარდაქმნით სსრ კავშირის ქვეშეშეშე ქვეყნის სიმბოლოებად. დაუკვირდეთ რისი სიმბოლო იყო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ღერბი და დროშა? (არა აქვს მნიშვნელობა მოგვწონს მათი გამოხატულება თუ არა). ეს იყო სიმბოლურ საქართველოს დამოუკიდებლობისა, ეს იყო სიმბოლო საკუთარი თავის მყუდნებელი საქართველოსი, რომელიც აღიარა საერთაშორისო სამართალში და 18 ქვეყანამ (21 წლისათვის) მათ შორის თვით რუსეთის საბჭოთა სოციალისტურმა სახელმწიფომაც. ეს იყო სიმბოლო იმ ქვეყნისა, რომელსაც თავისი საკუთარი სახელები გააჩნია და არ არის ინკორპორირებული არცერთ სხვა ქვეყანაში. ეს იყო სიმბოლო ქვეყნისა, რომელსაც აქვს დემოკრატიული წყობა დაფუძნებული ლიბერალურ პრინციპებზე (არა აქვს მნიშვნელობა ერთპარტიული მთავრობის სოციალისტურ გადახრებსა და მისწრაფებებს, მათი გასწორება მომენტის საქმე იყო), რომელსაც აქვს საკუთარი მოქალაქეობის ინსტიტუტი. რომელსაც აქვს საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგია (არა აქვს მნიშვნელობა ამ პოლიტიკის სუსტს მხარეებს, იგი არსებობდა რეალურად და ნამდვილად) ახლა ვიკითხოთ: რისი სიმბოლოებაა დღეს საქართველოს რესპუბლიკის დროშა და ღერბი (იგივე დემოკრატიული საქართველოს დროშა და ღერბი)? ეს არის სიმბოლო, ქვეყნისა, რომელსაც არცერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლის ჩასადებად: კანონის უპირატესობის, კერძო საკუთრების, პიროვნების სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების, სამართლებრივი,

ძალაუფლებისაგან დამოუკიდებელი ინსტიტუტის შესაქმნელად და სხვა; ეს არის სიმბოლო ქვეყნისა, რომლის ხელისუფლებაც ძალაუფლებად განიხილავს თავს და შესაბამისად ამისა არ ცნობს პასუხისმგებლობას თავის განცხადებებსა და დაპირებებზე, რომელსაც აქვს ტენდენცია თქვას ერთი და გააკეთოს მეორე, რომლის ქვეყნის ხისტემა და ფორმა ივიუებობრთვია იმისა, რასაც მოყვლი სამოცდაათი წლის განმავლობაში ებრძოდა ცივილიზებული კაცობრიობა და რამაც ასეთი კატასტროფული შედეგი მოიტანა მსოფლიოს ერთ მეექვსედზე და ბოლოს, ეს არის სიმბოლო ქვეყნისა, რომელსაც ყოველივე ამის გამო არ ცნობს საერთაშორისო სამართალი, და არც არცერთი სხვა ქვეყანა, მეტიც, რომელსაც, მოუხედავად განცხადებებისა, არცერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს ამ მიმართულებით და არ წარუდგენია თავისი თავი საერთაშორისო სარბიულზე ლეგალურად (არა აქვს არავითარი მნიშვნელობა საგარეო საქმეთა მინისტრის საყიდლებზე შეინიბობას საზღვარგარეთ, რადგან არსად იგი ოფიციალურ დონეზე მიღებული არ ყოფილა, განსხვავებით ბალტიელი ან სომეხი ოფიციალური წარმომადგენლებისაგან). ამრიგად მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიმბოლოთა „პერესტროიკა“ და მათი სრული გაუფასურება – დესიმბოლიზაცია: ახლა ამ დროშისა და ღერბის ქვეშ დგომა სრულიად სხვა აზრს იძენს და კლავს იმ განცდას, რომელსაც აღმრავდა მთელი თაობების გულში 70 წლის განმავლობაში. ვიმეორებ, სწორედ იმიტომ, რომ ეს იყო პერესტროიკის სტრატეგიის განსახიერება და არა ჭეშმარიტი აღდგენა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა და იმ პრინციპისა, რომელზედაც იდგა დამოუკიდებელი საქართველო.

ქვესი თვის განმავლობაში პერესტროიკით დაშვებულმა ცვლილებებმა საქართველოში, რომელსაც ნაციონალ-ტოტალიტარული ჩახიბით მიიღო, რიგორც იყო დადგენილი, საქართველო ისეთი პრობლემების წინაშე დააყენა, რომელთა გადაჭრა მშვიდ და აწყობილ ქვეყანაშიც გაჭირდებოდა. და სახელდობრ: ნაც-ტოტალიტარულმა „ბუმმა“ (იგი თავისი პროპაგანდით მეჭისმეტად წააგავს ნაციონალ-სოციალისტურ ან ბოლშევიკურ „ბუმს“, თუმცა აკლია ამ უკანასკნელის რეალური საფუძვლები და ამდენად ამაშიც „ფსევდოა“ ანუ მხოლოდ პროპაგანდის დონეზე ახდენს თავის რეალიზებას, სინამდვილეში კი იმავე ადგილს ტყუპის, რომელზედაც დააყენა პერესტროიკამ), რომელიც გაცილებით ადრე, კომუნისტების დროს დაიწყო (ის 1987-89 წწ პრესა), ვიდრე არსებული ძალაუფლება განდებოდა „თვით-მპრობელი“, ვხა გაუხსნა ცენტრალურ ძალაუფლებას საქართველოში აქმუშაუბინა ვეულა ის ნადმი, რომელიც წინდახედულად იქნა ჩადებული „ნაციონალური საკითხის დიდსტრატეგიის“ სტალინის მიერ ტოტალიტარული ერის გარიჟრაჟზე. „ეთნოკრიზისები“ და საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ურთიერთწაკიდება ქართველებთან შედეგია ერთის მხრივ პერესტროიკის ცენტრიდან დაგვიძლი სტრატეგიისა და მეორეს მხრივ საქართველოში არსებული ნაც-ტოტალიტარული ძალაუფლების არასწორი მოქმედებისა. ვერც კრემლი თავისთავად და ვერც მარტოიდენ საქართველოს ნაც-ტოტალიტარული ძალაუფლება ვერ შესძლებდა ამ ეთნოკრიზისთა პროვოცირებას ერთმანეთის ხელშეწყობის გარეშე. ამის უეჭველი დასტურია ის, რომ საქართველოს არ გააჩნია საკუთარი ძალა (მილიცია, გვარდია, მხედრები) ძალისმიერად გადაწვიტოს საქართველოში გაღვივებული მრავალმხრივი პრობლემები: ეთნიკური, ეკონომიკური, წესრიგისდამცველი

და სხვა და სხვა. ის ფაქტი, რომ საქართველოს „მხედრონის“ დახარბევად გამოყენებული იქნა საკავშირო სამხედრო ძალა, აშკარა დასტურია, რომ საკუთარი ძალით, არსებული, უძრავი სიძლიერის მიერ არსებულ ძალაუფლებას, არაფრის გაკეთება არ შეუძლია და მისი არსებობა და გადარჩენაც დამოკიდებულია საქართველოში საკავშირო სამხედრო ან პოლიციური (შინაგან საქმეთა სამინისტროს) ძალების არსებობაზე. ეს რასაკვირველია ხელს აძლევს საკავშირო ცენტრალურ ძალაუფლებას ისე ათამამოს ქართული ძალაუფლება, როგორც მოესურვება და იქამდე მიუშვას, სადამდეც თვითონ ჩათვლის საჭიროდ, რადგან ეს ამავე დროს არის თვით საქართველოს არსებული ძალაუფლების ძალაუფლებაში ყოფნის გარანტიაც და, ამდენად, მისი სურველი და მისწრაფებაც. ეს რომ ასე არ იყოს, ვერც ეთნოკრიზისების იმ გზით „გადაწყვეტას“, ვერც „მხედრონის“ დარბევას, ვერც „გვარდიის“ შექმნას საქართველოს ძალაუფლება ვერ შესძლებდა და, ამავე დროს, არც ოპოზიციას აიტანდა თუნდაც იმ „რბილი მარწუხებით“ რომელსაც უჭერს მას, არსებულ ძალაუფლებას რომ არ ჰქონდეს სასტიკად აკრძალული პერესტროიკის საერთო ტენდენციის დარღვევა და მით სტრატეგიაში ჩარევა. პერესტროიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ცენტრის უპირველესი მიზანია „დემოკრატიზაცია“ იმ უმტკივნეულო დონეებზე, რომლებიც საშუალებას მისცემს კავშირს შენარჩუნებისა და გადახალისებისა, მსოფლიოში უპირველესი ძალის როლის სრული შენარჩუნებით და ამ ძალისათვის ეკონომიკური ბაზის გადახალისებით. ამგვარ უმტკივნეულო დონეზე მოხდა დეიდეოლოგიზაცია, დაშვებულ იქნა მულტიპარტიული სისტემა. იმავე დროს მთელი პოლიტიკური და ეკონომიკური ღონისძიებები და სტრუქტურების კომპარტიის (ან კომპარტიიდან გასული, თუმცა ფუნქციურად იგივე) „აპარატის“ ხელში შენარჩუნებით. - სამხედრო და პოლიციური უსარმაზარი მანქანის სრული უცვლელობით და ხელუხლებლობით, შენახვით და, რაც მთავარია, რეალური და საფუძველმდებელი პრინციპის არმჩივით.

ტოტალიტარიზმის ბნელი გვირაბიდან გამოსვლის აუცილებელი პირობა არის არა მულტიპარტიული და დეიდეოლოგიზირებული „საზოგადოების“ შექმნა, არამედ იმ პრინციპების საწინააღმდეგო პრინციპებზე გადასვლა, რომლებიც წარმოადგენენ ტოტალიტარულ სისტემის გულისხეულსა და მოტორს, მის არსთა არს. ასეთია: ეტატურ-კოლექტივისტური საკუთრების ნაცვლად - კერძო საკუთრება; ეტატურ ინტერესებისადმი მონობისა და „მოხელეთა“ ბიუროკრატიისადმი მონილების ნაცვლად - პიროვნების სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლება; და მისი გარანტიები კანონის უპირატესობით ძალაუფლებაზე და მის მოხელეზე; დეეტატიზაცია ეკონომიკური და სოციალური ცხოვრებისა; იმპერიის შენარჩუნებისა და მილიტარიზმის ნაცვლად - იმპერიის სრული დაშლა და აღდგენა მასში ძალით შეყვანილი სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა იმ საზღვრებში, რომლებიც არსებობდნენ ამ სახელმწიფოთა დაპყრობის მომენტში; ამ რესპუბლიკათა დემილიტარიზება და მათი ტერიტორიიდან სამხედრო ნაწილების გაყვანა; ამ საკითხის საერთაშორისო დონეზე სრული გადაწყვეტა და მიღება და, მხოლოდ ამის შემდეგ დასმა საკითხისა სურს თუ არა რომელამეს ამ აღდგენილ და დეტოტალიზირებულ სახელმწიფოებიდან გაერთიანდეს ანაღ ეკონომიკურ ან პოლიტიკურ კავშირში. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა იქნება სამართლიანი და არ გამოიწვევს იმ არეულობას, რომლითაც ასე აყრთხილებენ მსოფლიოს ტოტალი-

ტარული და მისი წვრილწვრილი ემისარები. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს, რომელსაც (ახე ჩანდა 1988 წლამდე!) ყველაზე მეტი საშუალება ჰქონდა ფეხზე სერიოზული წამოდგომისა ტოტალიტარიზმის ბნელი გვირაბიდან გამოსვლისა და ნორმალური დამოუკიდებელი ცხოვრებისა, არსებული ძალაუფლების მიერ ნაციონალ-ტოტალიტარისტული ტენდენციის აღებით საკვებით ესშობა გზა არა მარტო თანამედროვე ცივილიზებულ ერაღ განვითარებისა, არამედ იმ ბნელი გვირაბიდან გამოსვლისაც, რომელმაც ზნეობრივი, სოციალური და ეკონომიკური გადაკვარების პირას მიიყვანა ერთ დროს სიქველით, ზნეობით, კულტურითა და ცხოვრების წესმაგრობით ცნობილი, „თავის თავის მყუდნებელი“ (თუნდაც რომ პოლიტიკურად დაპყრობილი ყოფილიყო!) საქართველო. ეს სრულიადაც არ არის სკეპტიკოსის დასკვნა, რადგან ჩემის ღრმა რწმენით საქართველოს ყოველ მოქმედებში და ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში შეუძლია დადგეს ფეხზე, და თუ იგი ამას ვერ ახერხებს და იმის საწინააღმდეგო გზით მიდის, რომელზედაც არის შესაძლებელი ტოტალიტარიზმის ბნელი გვირაბიდან გამოსვლა ცივილიზებულ სამყაროში, ამის მიზეზს მე ვხედავ დღევანდელი ძალაუფლების არასწორ მოქმედებებში, რაც მაიძულებს ვთქვა, რომ ეს ძალაუფლება პერესტროიკის ცენტრისკენული სტრატეგიის განმარტოვებელია და ნაციონალ-ტოტალიტარიზმით რეალური ცივილიზებული ალტერნატივის მოშპობი. სწორედ ის ფაქტი, რომ არსებული ძალაუფლება ძალაუფლებად განიხილავს თავისთავს და არა ხელისუფლებად, ესე იგი იგივე სოციალურ და პოლიტიკურ „ფილოსოფიას“ ემყარება, როგორსაც ემყარებოდნენ ბოლშევიკები და კომუნისტები, მრავალწილად არის გაპირობებული იმით, რომ თვით „საქართველოს საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა“ უმრავლესობა მათში იმ ნაცნობ სახეს ხედავს, რომელსაც მიეჩნევა და ამით ხელს უწყობს თავის მიერ არჩეული ხელისუფლების ძალაუფლებად დასმას თავზე. მასათა ეს მაზონისტური კომპლექსი კარგადაა (ვიტყოდი, ქრესთომატიულად) შესწავლილიც და გამოვლენილიც. ტოტალიტარული სისტემის არსთაარსს სწორედ ამ კომპლექსის სრულყოფილი გამოყენება წარმოადგენს³ და გამოყენებული სისტემა თავის სადისტურ ინსტიტუტებს აკმაყოფილებს სწორედ მასის მაზონისტური სწრაფვის ხარჯზე. რასაკვირველია, თუმცა ბანალური, მაგრამ მეტად ღრმააზროვანი გამოთქმაც შედგამოჭრილია ამგვარი ვითარებისათვის: „ყოველი მასა ღირსია თავის ძალაუფლებისა“ რადგან არცერთ ძალაუფლებას⁴ არ შეუძლია არსებობა ამ უმრავლესობის, ანუ მასის მაზონისტური კომპლექსის დაკმაყოფილების გარეშე.

³ იხ. „სტალინიზმის არსება“; „ტოტალიტალიზმის რენესანსი“ - „ივერია“ 30; 31-32-33; 35

⁴ ქართულმა ენამ, როგორც არაერთგზის აღინიშნა, შესანიშნავად გამოიხატა და განიცა „ძალაუფლება“ და „ხელისუფლება“. პირველი - „ძალაუფლება“ - არის ძალის, ძალმომრების უფლებით გაბატონება საზოგადოებაზე და, ვ.ა. „აღმართის მხველია“ (გაბასვილი) „მოთხის გადადგმის, მდინარეთა შებრუნების, მდამიურ რასათა მოშპობა, ერთადერთი რასის ან ტიპის - კომუნისტურის, სოც-სოციალისტურის, რუსულის, გერმანულის და ა. შ. გაბატონება და მოვლად დასახვა და სხვა მართლაც აღმართისმხენელი გეგმები ტოტალიტარიზმისა); მეორე - „ხელისუფლება“ - კი არის სახელის, ხელის უფლება, რომელიც იმთავითვე არის განსაზღვრულ მოთაკილი წესით, სმართლით და თვით ამ სახელს წარმომადგენლობითობით. „ხელის-უფალი“ „ხელ-მწაფეს“ ესატყვისება და ამით ამ შესანიშნავ ქართულ სიტყვაში განსახიერებულ „მწაფობას“ რაც გონიერებას, გონიერ სიმწიფეს ნიშნავს და იმთავითვე მიეკახელებს „ხელმწიფობის“ ქართულ სახიერებისაკენ - „ვეფხისტყაოსნისაკენ“, რომელშიც როგორც სიტყვაში არის ასარკული „ხელმწიფობის“ საინიციაციო (ხელდასმის) გზა. ამიტომაც ამ ორი ცნების დაბრუნებულობას პრინციპული მნიშვნელობა აქვს სუბსანსი.

ამგვარი იყო, ცხადია, ბოლშევიზმი, ამგვარი იყო ნაციონალ-სოციალიზმი, ამგვარი იყო კომუნისტური ტოტალიტარიზმი და ასეთივეა ნაციონალ-ტოტალიტარიზმიც. პარადოქსი თანამედროვე დემოკრატიული წყობისა ისაა, რომ არსებითად დემოკრატიულ წყობაში საზოგადოებას და სახელმწიფოს მართავს არა ყოველთვის და არა მხოლოდ უმრავლესობა, არამედ უმცირესობაც. არსებითად არავითარი მნიშვნელობა თანამედროვეს მთლიანად საზოგადოების ცხოვრებისათვის არა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე დემოკრატია, ესაა ისეთი წყობა, როდესაც საზოგადოების საფუძველმდებარე პრინციპები თავისთავად აწესრიგებენ საზოგადოებრივი ყოფიერების მთელ კომპლექსს, ასისტემებენ მას და, ამდენად, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ვინ არის სახელმწიფოს მმართველი ან ვის უნაწილდება სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ფუნქციები. თვით პრინციპია შეუვალნი და იმისათვის, რომ ესა თუ ის ხელისუფლება ძალაუფლებად გარდაიქმნას, (ანუ თავისი საღისტური გასაღები მთავრის უმრავლესობის მაზონისტურ მისწრაფებებს) მან უნდა დაანგრიოს საზოგადოების საბაზისო სისტემა, რაც, არსებითად თვითმკვლევრობას უდრის და ისეთ ნგრევას საზოგადოებისა, რომელიც ყველა ომსა და რევოლუციაზე უფრო განმანადგურებელია. ამიტომაც არის, რომ დემოკრატიულ (თანამედროვე) წყობას თავისი თვითღამცველი მექანიზმები საფუძველშივე აქვს ჩადებული და ეს მექანიზმები მჭიდროდაა გადაბმული პიროვნების თავისუფლების, კანონის უპირატესობის და კერძო საკუთრების ხელშეუვალობის პრინციპებთან. იტალიური ფაშიზმიც დიქტატურა იყო, გერმანული ნაციონალ-სოციალიზმიც, და ფრანკოვაც დიქტატურა დაამყარა ესპანეთში, მაგრამ არცერთს არ მოუხპია საზოგადოების ის მასტაბილიზებელი საფუძველი, რომელიც არის კერძო საკუთრება. და თუმცა დიქტატურამ შეზღუდა სხვა უფლებები, მაინც დატოვა პირობა უწყვეტად გაგრძელებულიყო საზოგადოების განვითარება და სწრაფად დაბრუნებულიყო ცივილიზაციის გზაზე. თვით ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიასაც კი არ გაჭირვებია არაჩვეულებრივი სასწაული მოეხდინა და აღმდგარიყო, სწორედ იმიტომ, რომ ეს საბაზრო პრინციპი ხელუხლებლად იყო შენარჩუნებული ნაციონალ-სოციალისტურ ბნელ გვირაბში მოხვედრისას 35-45 წლებში. იგივე შეიძლება ითქვას პოსტნაციონალ-სოციალისტურ გერმანიაზეც. მხოლოდ ბოლშევიკებმა და კომუნისტურმა ტოტალიტარიზმმა მოსპო კერძო საკუთრების ეს საბაზო პრინციპი და მით კაცობრიობისა და ცივილიზაციის განვითარებაში შავი სვრელი გააჩინა. ამგვარად დასახელებულ ნაციონალისტურ დიქტატურებში სწორედ იმის საწინააღმდეგო ვითარება იყო შექმნილი, როგორც პერესტროიკამ შექმნა ამჟამად და როგორც საქართველოში არსებობს დღეს: კერძოდ საკუთრების საფუძველმდებარე პრინციპის არ თუ ვერ მიღება და ამით, ეტატიზმის პრინციპის გაძლიერება (ან შენარჩუნება) ხდება ბუნებრივ საფუძველად ტოტალიტარიზმის პერესტროიკისა და იგივე „კომუნისტური“ ან „კოლექტივისტური“ სისტემური პრინციპების შენარჩუნებისა.

ზემოთქმულიდან გასაგები უნდა იყოს, რომ კერძო საკუთრების პრინციპების ამუშავება არის ერთადერთი ალტერნატივა ტოტალიტარიზმის სიბნელიდან თავის დაღწევისა. რადგან ეს პრინციპი ადრე თუ გვიან თავისთავად ააწიოს საზოგადოებას და აამუშავეს სოციალისტურ ძალებს. ვერაფერი ვერ შეაჩერებს მას თუ არ მისი მოსპობა, მაგრამ საკითხი ხომ ისეა დასმული, რომ უნდა გამოვიდეს ქვეყანა

ამ მდგომარეობიდან, ამ ბნელი გვირაბიდან და არა შევიდეს მასში. ჩვეულებრივ, კერძო საკუთრების შემოღების შემთავრებულ (რადგან თეორიულად და აბსტრაქტულად არავინ უარყოფს მას, მითუმეტეს საქართველოში) ხიბნულად მიიხსენებს სოციალური და პოლიტიკური შექანისების არარსებობას, საიდანაც გამოაქვთ დასკვნა, რომ ჯერ აუცილებელია ამ შექანისების მოწეობა და ამუშავება და შემდეგ, მათი შექვეობით გახვლა კერძო საკუთრებაზე, საბაზრო ეკონომიკაზე; აგრეთვე, საქართველოსთვის სპეციფიკურ პრობლემაზე: არაქართული ეთნოსის მქონე მოსახლეობის თავმოყრას მთელი რიგ რეგიონებში (განს. ქვემო ქართლისა და სამხრეთ საქ.) და ამის გამო შიშს ქართულ მიწებს არაქართველები ჩაიგდებენ ხელში. უნდა ითქვას, რომ ორივე ეს (ძირითადად) არგუმენტი პირწმინდად იდეოლოგიური და პროპაგანდისტულია და არის გამაზნული მახობრივი ცნობიერების პრინციპულ „დაზღვრულობაზე“ ანუ საკითხის გააზრების შეუძლებლობაზე. ფსევდონაციონალისტური ანუ ნაციონალ-ტოტალიტარისტული ღოზუნებით ხინამდვილის დაფარვა და საზოგადოების რეალური შექანისების გაცნობის მაგივრად მასების ამ ღოზუნებით კვება, მტკად გამოცდილი და კომუნისტური ტოტალიტარიზმით დადასტურებული უტყუარი ხერხია, რასაკვირველია, მაგრამ საკითხი ხომ ისევ და ისევ კომუნისტური ტოტალიტარიზმის ბნელი გვირაბიდან გამოსვლას ეხება და არა შიგ შებრუნებას (თუ ვინმეს გამოსული ჰგონია უკვე თავი).

გაკვანალიზოთ რა საფუძველი აქვს ამ ორ (ძირითად) არგუმენტს კერძო საკუთრების შემთავრებულს:

1. სოციალისტური და პოლიტიკური სტრუქტურების არქონა და მათი შექმნის აუცილებლობა და უპირატესობა საკუთრივ კერძო საკუთრების პრინციპზე.

ეს დებულება თავისი ხასიათით არის პირწმინდად ეტატური დებულება, რომელიც თავისთავში ატარებს ტოტალიტარული აზროვნების მკაფიო დაღს. რადგან მხოლოდ ტოტალიტარულ აზროვნებაში ეხედავთ ხუვს ამგვარ აბრუნლს სოციალური განვითარებისა: კაცობრთობის ისტორიაში არ არსებულა არცერთი სხვა მონაკვეთი, გარდა ტოტალიტარულ-ეტატურისა, როლესაც ხულოვნურად შექმნილი სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები განსაზღვრავდნენ და ამოქმედდნენ ამა თუ იმ საზოგადოებრივი წეობის სოციალურ და ეკონომიკურ საბაზისო შექანისებებს. ტოტალიტარულ-ეტატური 70 წლიანი ექსპერიმენტის შედეგები თვალწინ გვაქვს და საქმე ხომ მათგან თავის დაღწევაა და არა მათი შენარჩუნება და განანგრძლივება. პოლიტიკურიდან (პოლიტიკური წეობიდან) ეკონომიკურისაკენ გზა არის კომუნისტური ბნელი გვირაბის გზა (ეკონომისტმა მარქსმა თვითვე დაასაძარა იდეოლოგია მარქსი); პოლიტიკური და ეტატური ინსტრუქების უპირატესობის გზა პიროვნების თავისუფლებისა (ეკონომიკურის და პოლიტიკურის) და საზოგადოების ინსტრუქების უპირატესობის გზაზე, არის იმავე ბნელი გვირაბის ოხრის გავრძელება, რომელიც უკვე სამოცდაათ წელზე მტკია ითხრება. რატომ არის აგრე?

იმბტომ, რომ „პოლიტიკური“ და მისით განსაზღვრული „სოციალური“ სტრუქტურები წარმოადგენდნენ მ ერთად წარმონაქმნებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ხოლო საფუძველმდები და არსებითი პრინციპები; რომლებიც ინტეგრალური ხასით არსებობენ, წარმოადგენენ ადამიანის ყოფის მომწესრიგებულ ურთიერთობებს (ეკონომიკური, სოციალური, მწარმოებლური, ეთიკური, კულტურული

და სხვა) და პირველადს. პოლიტიკური წყობა კი არ ქმნის ადამიანს ადამიანად, არამედ ადამიანი ქმნის პოლიტიკურ წყობას, რადგან იგი არსებით „პოლიტიკური ცხოველია“ და ამ მისი არსების გამოვლინება „უყოველადი ფერითა“ ხდება ისტორიაში, ისე, რომ თვით ადამიანობის (და ე.ი. მისი საზოგადოებრივი, ღირებულებით ხასიათის) არსების გამოცნობა ამ ფორმათა სიმრავლეში იოლი ხდება. ერთადერთხელ შეიცვალა ეს მიმართულება კაცობრიობის ისტორიაში და უკვე გვიჭირს თავის გამოსხნა ჩვენს მიერვე შექმნილი ფანტომისაგან, რომელმაც თვითარსის პრეტენზია განაცხადა და „თავით თვისით მყოფობა“ დაიდგინა. ეს კი ნიშნავს უბრალო რამეს: პოლიტიკურმა წყობამ, სოციალისტურმა სტრუქტურებმა იწვეს ადამიანისაგან დამოუკიდებელი არსებობა, უარჩევს ადამიანი და თანდათან ადამიანსაც უარყოფინეს თავი. შედეგად მივიღეთ, რომ ადამიანსა და იწვეო არა თავისი უარყოფილი თავის ძებნა (და ე.ი. ყველა საფუძველმდები ფოფილისმომავარებელი პრინციპისა) არამედ ისევ და ისევ „პოლიტიკური“ და „სოციალური“ სტრუქტურებისა ანუ იმ ფანტომებისა, რომელთა მსხვერპლი შეიქმნა.

ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს ან საზოგადოებას არ ესაჭიროება პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურები. ზემოთქმული ნიშნავს, რომ ის რაც უპირველეს ყოვლისა ესაჭიროება სახელმწიფოს და საზოგადოებას, ეს არის ადამიანის თავისუფლების უპირატესობის განსაზღვრა და საზოგადოებრივ - სახელმწიფოებრივი არსებობის საფუძვლად დადგენა. განერებულ მანქანაში ჩაჯდომისას თუ მოტორს არ ავამუშავებთ, რამდენიც არ უნდა კიჯდეთ ამ მანქანაში იგი ადგილიდან არ დაიძვრის. პიროვნების ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების პრინციპი ეს ის მოტორია, რომელმაც უნდა ააშუშოს განერებული სოციალური და სახელმწიფოებრივი მანქანა, გამოარკვიოს რა ნაწილები არის ვარგისი, რა - უვარგისი, გამოარკვიოს რომელი ნაწილებია „შესაცვლელი, რომელი საერთოდ გადასახალისებელი ან გადასაგდები და ა.შ. ამას ყოველივეს კი სახელმწიფოს, და ერთობ უტატური პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურებიდან ადამიანის განთავისუფლება სჭირდება და ე.ი კერძო საკუთრებად ჩაბარება მისივე თავისა, რადგან თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა კერძო საკუთრების განსაკუთრებული ფორმა. კაცობრიობის ცივილიზაციათ პოლიტიკური და სოციალური მრავალფეროვნება წარმომდგარია ამ საფუძველმდები პრინციპის მუშაობით და არა პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურებით სახელმწიფოს მართვით. საზოგადოება თავისთავს მართავს და საბოლოოანგარიშით მას არ ესაჭიროება არავითარი „სამთავრობო“ ინსტიტუტები, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც ეკონომიკამ და ეკონომიკურმა კანონებმა ესოდენი მნიშვნელობა შეიძინეს და ჯეშმარიტ მარეგულირებელ პრინციპებად იქცნენ. დღევანდელ დღეს ეკონომიკური თავისუფლების (ანუ კერძო საკუთრების პრინციპზე დამყარებული ეკონომიკის) გარეშე მთარსებე არცერთ საზოგადოებას თუ ადამიანს არა აქვს გადარჩენის შესაძლებლობა, რადგან იმთავითვე წირავს თავს მონობისა და უპიროვნეობისათვის.

2. საქართველოსათვის სპეციფიკური პრობლემა: არაქართული ეთნოსის მქონე მოსახლეობის თავმოყრა მთელ რიგ რეგიონებში (განს. ქვემო ქართლისა და სამხრეთ საქ.) და ამის გამო შიში „ქართულ მიწებს არაქართველები ჩაიგდებენ ხელში“.

ამ პირწმინდად ნაციონალ - სოციალისტურ დებულებას რომ საქართველო-სათვის არავითარი „სპეციფიკურობა“ არ გააჩნია, ეს ერთი შეხედვითაც ნათელი უნდა იყოს: დღევანდელ დღეს თვით აფრიკის ყველაზე ჩამორჩენილი, „ტრიბალური“ ქვეყნებიც კი არ წარმოადგენდნენ „ეთნიკურად ჰომოგენური მოსახლეობის ქვეყნებს“. ამიტომ „ეთნიზაციის პრინციპის“ მოქალაქეობის პრინციპზე წინ დაყენება არა მარტო ბნელი ტოტალიტარული (სტალინურ-პიტლერული) წარსულისაკენ მიბრუნებაა, არამედ შ ე უ რ ა ც ხ მ ე ო ფ ე ლ ი ა თვით ქართული ისტორიისა და კულტურისათვის. მეტიც, იგი ამ ისტორიისა და კულტურის უ ა რ მ ე ო ფ ე ლ ი ა და, ამავე დროს, იგი აჩვენებს, რომ დღევანდელ დღეს, საქართველოში მცხოვრებთა უმრავლესობა (87% რომლის ნებისა და აზრების გამომხატველია დღევანდელი ძალაუფლება) არც კი გაქანებულა იმ ბნელი გვირაბიდან, რომელშიც სამოცდაათი წელია იმყოფება. სამწუხაროდ მუ არა მაქვს სხვა მონაცემები, თუ რას ფიქრობს ამ საკითხზე დანარჩენი 13% საქართველოს ზრდასრული მოსახლეობისა, ამიტომ გამარჯვებული უმრავლესობით ვისაზღვრები. ჩვენს წინაშე ორი საკითხია არსებითად, რომელსაც ასე თუ ისე პასუხი უნდა გავცეთ, ვიდრე თვით „პრობლემა“ შეგუხებოდეთ. ეს საკითხები დაკავშირებულია ერთის მხრივ საქართველოსა და ქართულ კულტურასთან და მეორეს მხრივ კ ა ე კ ა ს ი ა ს ა და კავკასიურ კულტურასთან (თუ ამგვარ რამეს საერთოდ მივიჩნევთ არსებულად). მე პირადად, როგორც საქართველოშიც და კავკასიაშიც ნაცხოვრებ-ნამოგზაურებ კაცს კავკასიური ტიპის კულტურის არსებობა უკვე აღფაქტად მიმაჩნია და, ამიტომ, ამას უყვრდნობი. სიტყვა „ეთნოსი“ უბრალოდ „ხალხს“ ნიშნავს ბერძნულად და ამ სიტყვისთვის რაღაც იდეოლოგიურ-კონცეფტუალური მნიშვნელობის მინიჭება დაკავშირებულია იდეოლოგიის იმ საერთო პროცესთან, რომელშიც მოექცა კაცობრიობის ნაწილი, განსაკუთრებით მეოცე საუკუნეში განვითარებული ნაციონალისტური თეორიებისა და პოლიტიკური მოძრაობების შედეგად. სიმშვიდე, რომლითაც „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს ქართველი ერის და ქართული ენის ჩამოყალიბებას სხვადასხვა ხალხისა და ენისაგან ნათლად მოწმობს, რომ ამ საკითხს არავითარი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდა მაშინაც კი, როდესაც ჭეშმარიტად ქართული იდეოლოგია იქმნებოდა და ქართული სახელმწიფოებრივი თვითარსობა განისაზღვრებოდა. მეტიც, ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფოს საზღვრები ასე ხელოვნურად არც იყო განსაზღვრული და ესა თუ ის ქვეყანა, თუ სახელმწიფო, იქიდან იწეებოდა, სადაც მისი პირველი მეცნიერებები ან სოფლები იდგნენ. ასლა საზღვრები საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და სახელმწიფოთა შორის შეთანხმებებითაა განსაზღვრული, რაც სრულიად სხვა კუთხით სვამს შიდასახელმწიფოებრივი მოსახლეობის უფლებების საკითხსაც. მათ შორის სახელმწიფოში მცხოვრები „ეთნოსების“ ანუ „ეთნიკური უმცირესობების“ საკითხსაც. ტერმინი „ეთნიკური უმცირესობა“ - გულისხმობს, რომ სახელმწიფოში არსებობს „ეთნიკური უმრავლესობაც“, რომელსაც საერთაშორისო (ანუ ცივილიზებული თანაცხოვრების) სამართალი ავალდებულებს ეწიადლებას და სამართლიანობას სხვათა მიმართ. მაგრამ მთავარი ისაა, რომ საუბრისას ყოველგვარ ურთიერთობათა წარმოადგენს „ადამიანის უფლებები“, რომელთა შორისაა თავისი თავის ამა თუ იმ ეთნიკურ რაობად ჩათვლის უფლება. ეს შეესატყვისება რელიგიური თავისუფლების უფლებას.

ყოველი ეს უფლება თავის მხრივ არის გარკვეული ვალდებულებაც იმ სახელმწიფოსა და „ეთნიკური უმრავლესობის“ მიმართ, რომელშიც ხორციელდება ეს უფლებრივი და ვალდებულებითი ურთიერთობა. თანამედროვე სახელმწიფოები, რომელთაც დემოკრატიული წყობა აქვთ (ამაშია დღევანდელი კონსტიტუციური მონარქიებიც) კონსტიტუციურად აღგენენ უფლებრივსა და ვალდებულებით ანუ სამართლებრივ პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ მათში შემაჯავლი ყოველი მოქალაქის (პიროვნების) უფლებასა და მოვალეობას და მათ შორის, ჩათვალონ თავი ამა თუ იმ ეთნოსის წარმომადგენლად და ჰქონდეთ შესატყვისი კულტურული (ან ადმინისტრაციული) ავტონომიის პირობები. ყველა სხვა პირობებით მოქალაქენი თანასწორნი არიან, ხოლო „ეთნიკური უმრავლესობა“ კი არის თვით სახელმწიფოს უპირატესი შემქმნელი და პატრონი. აქედან ცხადი ხდება რომ მოქალაქეობრივად თანასწორ-უფლებიანი და თანასწორ ვალდებულებიანი ეთნოსი „ეთნიკურად“ სპეციფიკური უფლებითა და ვალდებულებითაა განსაზღვრული (მაგ. საერთო სახელმწიფო ურთიერთობის ენის საკითხში და სხვა...) და თუ ეს კონსტიტუციური კანონი, რომელიც შესატყვისია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა (ასეთი თითქმის ყველა თანამედროვე სახელმწიფოთა კონსტიტუციებში), დაცულია, შეიძლება ითქვას, რომ საკითხი მოხსნილია და პრობლემა არ წარმოიშობა (აქ გამოვიცხავ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ აგრესიას). ამ შემთხვევაში საკითხი დაისმის მხოლოდ იმ მოქალაქეობრივ უფლებებზე (და მოვალეობებზე) რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ და მოსაქმე ადამიანს აქვს როგორც ამ სახელმწიფოს მოქალაქეს, ან მოქალაქეობის არ მქონეს.

საბჭოთა კავშირში მხოლოდ საბჭოთა კავშირის მოქალაქეები ცხოვრობდნენ. საქართველოს მოქალაქეები არ ჰყავდა. ამ თვალსაზრისით, ყველანი მეტნაკლებად „ეთნიკური უმცირესობები“ ვიყავით. მაგრამ არსებობდა სახელმწიფოებრივი (რესპ.) საზღვრები. რა უნდა მომხდარიყო პირველსავე დღეს, როდესაც დამოუკიდებლობა გამოცხადდა? უნდა დადგენილიყო და გაყოფილიყო საქართველოს მოქალაქე და საბჭოთა კავშირის მოქალაქე. ეს გაარკვევდა ვინ არის „უცხო“ და ვინ „შინიკური“! ამის ნაცვლად ჯერ კიდევ კომუნისტური ძალაუფლების ქვეშ ნაციონალ-ტოტალიტარისტებმა დაიწყეს „ეთნიკური უმცირესობის“ ეთნიკრატიული იდეოლოგიის დაფუძნება და ისე გაამწვავეს საკითხი, რომ მისი გადაჭრა მხოლოდ ძალმომრეობით გახადეს შესაძლებელი; ე.ი. გამოიყენეს ნაციონალ-სოციალისტური და კომუნისტური „უკანასკნელი საშუალება“. ადამიანებს, რომლებსაც ჯერ არავითარი უფლება არ ჰქონდათ და რომელნიც ამისათვის თავის წარმოშობას ებღაუჭებოდნენ, ესეც მოესპოთ. ეს ეხება არა მხოლოდ არაქართული წარმოშობის მოსახლეობას, არამედ თვით ქართველებსაც, რომლებსაც ამგვარად, გამოეცალათ ცივილიზებული მოქალაქეობრივი და სამართლებრივი კრიტერიუმი. ამ მდგომარეობის სახიფათოობა, როგორც ჩანს, არასაკმარის იყო გაცნობიერებული არა მარტო „პეტრიაშვილების“ და „გამსახურდების“ მიერ, არამედ იმათ მიერაც, ვისაც გაცილებით მეტი მოეთხოვებოდათ, რადგან უშუალოდ ძალაუფლების გადანაწილებაში არ მონაწილეობდნენ. არ შეიძლება არ ითქვას, რომ ისეთი წერილები, რომლებიც დაიბეჭდა ქართულ ცენტრალურ პრესაში 1988-1991 წლებში „ეთნიკურ პრობლემებზე“, არცერთ ერს არ ამშვენებს. უფიქრობ, სწორედ ამგვარმა წერილებმა შეიწვევეს ხელი იმ რეაქციას, რომელიც ბუნებრივად გახდა მოსალოდნელი, და

კიდევ წარმოიშვა, როგორც ჩანს „პოლიტიკურმა სტრატეგიებმა“ კარგად გათვალეს ეს რეაქცია და პირწმინდად სტალინური ტაქტიკა გამოიყენეს. ახლა ვიკითხოთ რა „პრობლემებთან“ გვაქვს საქმე „ეთნოკრიზისების“ ამ ესკალაციის დროს. ავიღოთ „ოსების პრობლემა“, რომელიც „მსოფლიოდა“ გადაუჭრელი გახდა და ორმხრივ მსხვერპლთან ერთად საქართველოს ჯერ არნახული დისკრედიტაცია გამოიწვია. უნდა ითქვას ისიც, რომ დისკრედიტაციის ეს პროცესი გრძელდება და გაგრძელდება მანამ, ხანამ არ იქნება მოგვარებული არა მარტო ოსებთან ურთიერთობა, არამედ საერთოდ საქართველოს უმცირესობათა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებების სამართლებრივ-კანონიერი საკითხები.

ერთმანეთს ორი, ისტორიულ საფუძველზე აგებული, „პოლიტიკური“ კონცეფცია დაუპირისპირდა: ქართული და ოსური. განვიხილოთ ისინი:

ქართული პოზიცია ამ საკითხში ეფუძნება ფაქტს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიის არცერთ მონაკვეთში 1922 წლამდე არ არსებულა ოსური ადმინისტრაციული-სახელმწიფოებრივი ერთეული და ეს ერთეული შექმნილა საბჭოთა ძალაუფლების მიერ, სტალინის მითითებით. ოსების რაოდენობა საქართველოში სულ 3,0%-ია (185 ათასამდე) ამათგან დაახლოებით 65 ათასი ცხოვრობს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიაზე და შეადგენს ოლქის მოსახლეობის 60%.

ამ ოლქს ამჟამად „ყოფილი“ ეწოდება, ან სამახაბლო, ან შიდა ქართლი, მაგრამ ფაქტობრივად არცერთი ამ სახელწოდებათგან არ არის ნამდვილი და გამომსახტველი რეალური ადმინისტრაციულ-ეროვნული ხინაიდვილისა. საქმე ისაა, რომ ჯერ არავის დაუდგენია თუ რამდენ ხანს უნდა არსებობდეს ესა თუ ის ადმინისტრაციული ერთეული, რომ მისი არსებობის უფლება არ იქნას გაუქმებული ადმინისტრაციული არგუმენტით. 1922 წლიდან - 1991 წლამდე „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ არსებობდა და ამას თავისი ადმინისტრაციულ-დემოკრატიული შედეგები მოჰყვა. ისტორიულ არგუმენტებზე დაყრდნობით ამ ოლქის გაუქმება ნიშნავს იმას, რომ „ისტორიულ უფლებას“ მიენიჭოს სამართლის ძალა, რაც ისეთ არეულობას გამოიწვევს მსოფლიოში, რომ მართლაც სულ მოკლე ხანში „ქვა ქვაზე აღარ დარჩება“. მაგრამ, საუბედუროდ, ფაქტებსზე აგებული არგუმენტაცია (რომელიც, ვიმეორებ არ წარმოადგენს საფუძველს ამა თუ იმ ადმინისტრაციული ერთეულის გაუქმებისათვის, არამედ მხოლოდ აღნიშნავს ამ ერთეულის წარმოქმნის ფაქტობრივ ხინაიდვილეს) გასუეული იყო ისეთ ეთნო-რასობრივ იდეოლოგიაში, რომლის საფუძველზე მხოლოდ ის შეიძლებოდა მომხდარიყო, რაც მოხდა - ძალმომრეობის ესკალაცია, შეურაცხყოფა ურთიერთისა და საუკუნოვანი კავშირების გავფეჭვა. ხომ არავის არ უარყოფს იმას, რომ ოსები საქართველოში ცხოვრობდნენ ოდითგანვე, რომ კავშირი ქართველებსა და ოსებს შორის განუწყვეტელი იყო და, არსებითად საერთო ისტორიულ კონტექსტში თავსდება, რომ დავით სოსლანი ოსი უფლისწული იყო და ათასი სხვა, ფაქტობრივი, „ისტორიული“ საფუძველია იმის ხანუენებლად, რომ ოსები საქართველოში თავისუფლად სახლობდნენ, თუმცა არახოდეს საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე მათ არც საფეოდალო და არც სხვა ადმინისტრაციული ერთეული არ ჰქონიათ, ვიდრე 1922 წლამდე.

თავისთავად არც „ოსური“ მხარე არ უარყოფს და, ბუნებრივია კერ უარყოფს

იმას, რომ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ შექმნილია საქართველოს ტერიტორიაზე, ვგი საქართველოს სახელმწიფოს ერთეულია და არა რომელიმე სხვა სახელმწიფოსია, მაგრამ, სიმეტრიული არგუმენტაცია ისეთივე „ისტორიოგრაფიულია“, როგორც „ქართული“ მხარისა. აქაც ჩამოყალიბებულია ისტორიული არგუმენტაცია, რომელიც ასევე ისტორიულ ფაქტებს ეყრდნობა, თუმცა გვერდს უხვევს „ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი არსებობის“ საკითხს და ცდილობს დაამტკიცოს რომ ის ოდითგანვე ამ მოცემულ ტერიტორიაზე სახლობდა - ე.ი. საკითხს ისევ ეთნორასიულ, „ტრიბალურ“ განხორციელებას აძლევს და ამით თავის ოსტორიულ უფლებას მოცემულ ტერიტორიაზე „სამართლებრივად“ იმტკიცებს... არგუმენტები ასე შეიძლება დაფორმულდეს: ოსები არიან სკვითების ჩამომავლები. სკვითებს ერთ დროს (პირველ ათასწლეულში ძვ. წ.ა.) მთელი კავკასია (და ევროპაც კი) ეპყრათ. ის რასაც „ჩრდილო“ და „სამხრეთ“ ოსეთი წარმოადგენენ, არის ამ დიდი სკვითური სახელმწიფოს ნარჩენი, შევიწროებული სხვა ერების მიერ. ასე რომ ისინი კი არ არიან აქ ჩამოსახლებულები, არამედ სხვები. და მათ შორის ქართველებიც, რომლებიც „დიდი სკვითების“ და მომდევნო აღმავლების დროს არც კი არსებობდნენ, და საერთოდ მეორე მხარეზე საუკუნეში „განხდნენ“ კოლხებისა და იბერების შეერთებით. აღვილი შეხამსწევია ამ ორი დაპირისპირებული კონცეფციის (ეიტყოდა „იდეოლოგიის“) სრული აბსურდულობა, როგორც საკუთრივ ისტორიული, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით. ამ აბსურდის გამო თუ ხოცავენ ურთიერთს ოსები და ქართველები, მაშინ საქმე მართლაც ძალიან ცუდად გვეჩინა და ცნობიერების დაშლას იმ საფეხურისათვის მიუღწევია, რომელსაც აღარაფერი ეძულება რეალური სამედიცინო ჩარევის გარდა. მაგრამ მე ევაკირებ რომ საქმე ასე არ არის და ამიტომ განვიხილავ ამ ვითარებას როგორც დროებით დაბნეულობას და მანაპულაციებს იმათი მხრიდან, ვისთვისაც ამა თუ იმ მიზეზით ხელსაყრელია ეს სამეხობლო და სამოქალაქო სისხლისღვრა. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ საქართველოში სამოქალაქო ომი დაიწყო მაშინ, როდესაც „ოსური კონფლიქტი“ გაღვივდა, რადგან ყოველივე ეს საქართველოში ხდებოდა. ფაქტობრივად სწორედ ამ სამოქალაქო ომს მიეცა თანდათან „ეთნოგრაფიის“ სახე და ოსებსა და ქართველებს შორის ომად იქნა წარმოდგენილიც და განვითარდა კიდევ.

ერთი შეხედვით, თითქოს ყოველივე დაიწყო იმით, რომ „ტოტალიტარიზმის დამარცხების“ ტალღაზე, პერესტროიკის დროს „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტურ ავტონომიურ ოლქში“ ჩატარებული არჩევნების შემდეგ გამოცხადებულ იქნა სამხრეთ ოსეთის სს „ავტ. ოლქის“ ჯერ „ავტ. რესპუბლიკად“ გადაკეთება და საბოლოოდ საქართველოდან გასვლა და რუსეთის სსფ რესპუბლიკასთან (ანუ ჩრდ. ოსეთთან) შეერთება. ამან გამოიწვია საქართველოს ნაციონალ-ტოტალიტარული მეთაურობის (პრეზ. გამსახურდიას თავმჯდომარეობით) ბობოქარი რეაქცია, რომელიც გამოიხატა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმებაში. აქედან დაიწყო ის ყველახათვის სამარცხვინო და ტრაგიკული ეთნო-სამოქალაქო კონფლიქტი, რომლის „კადრები“ მტკიცებულ ტერიტობად დააჩნდება მომავალ თაობას.

ოსების დაყოფა „სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსებად“ რომ ხელოვნურია და საბჭოთა სისტემის მიერ მოტანილი, ამას დიდი მტკიცება არ ჭირდება იმათთვის, ვისაც ერთხელ მაინც დაუსხუდავს კავკასიის რუკისათვის... ნათელია, რომ ერთი

და იგივე ხალხი, განყოფილი 4 000 მეტრიანი მთავრეხილის კედლით, რომელსაც არც სოციალური, არც პოლიტიკური და არც, მითუმეტეს ეკონომიკური ურთიერთობა ერთმანეთში არა აქვს, არ შეიძლება ერთ ხალხად (ეთნოსად) იქნეს მიჩნეული, თუ მიგრაციის პროცესი ახალდაწვებული არ არის; რომ ისტორიაში არ არსებობს არცერთი მაგალითი იმისა, რომ ერთი და იგივე ხალხი განსახლებულიყო ამგვარი კედლის ორივე მხარეს, შეეწყვიტა ურთიერთობა და ერთი-და-იგივე ხალხის (ეთნოსის და მითუმეტეს ერის) სახე (ე.ი. კულტურა, ჩვევები, ტრადიციები და სხვა) აქტუალურად შეენარჩუნებინათ. ასე რომ „კავკასიონის ორივე მხარეს განლაგებული ერთიანი ოსური სახელმწიფოს“ (ან „დიდი ოსეთის“) იდეა საფუძველშივე აბსურდულია და უნიადგავი. უნდა ითქვას ისიც, რომ რუსეთში ინკორპორირებული „ჩრდ. ოსეთი“ რომელიც საკუთრივ ოსეთია (მეტნაკლებად საკუთარი განსახლების საზღვრებში მოქცეული) და „სამხრეთ ოსეთი“, რომელიც საქართველოა და საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი ავტონომიური ოლქი, სხვადასხვა კატეგორიის და ამდენად სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლების მქონე წარმონაქმნებია. რუსეთში დაიპყრო კავკასია და ოსეთიც (რომლის საზღვრები განსახლების არით ანუ ოსური სოფლებით განისაზღვრებოდა). საქართველოში კი ხდებოდა ოსთა შემოსახლება, ხიზნობა და დასახლება ქართველ მემამულეთა მიწაზე საუკუნეთა მანძილზე. თუ შემოვხაზავთ საკუთრივ ოსურ სოფლებს და იმას მივიჩნევთ „სამხრეთ ოსეთად“ საკმაოდ კარიკატურულ სურათს მივიღებთ ეთნოსის განსახლებისა და მის მიერ გეოპოლიტიკური სივრცის ათვისებისას. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ მართლაც შეიქმნა „დიდი ოსეთი“ და საქართველოს ტერიტორია გადაეცა ამ სახელმწიფოს, რა მოხდება? ბუნებრივი არე საურთიერთობოდ და საცხოვრებლად მაინც საქართველო დარჩება სამხრეთი ნაწილებისათვის და რუსეთი ჩრდილოეთისათვის. კავკასიონი ხომ „ბერლინის კედელი“ არ არის და რამდენიც არ უნდა „ხვრიტო“ იხე მაინც ვერ გახვრეტ, რომ რეალური მკაცრად შემოღებული გახდეს ერთი სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილისა... არ გავა რამდენიმე წელიც კი, რომ ორივე ეს ნაწილი „დიდი ოსეთისა“ ინკორპორირებული იქნება ერთი რუსეთში და მეორე საქართველოში ეკონომიკურად და ცხოვრების სტილით ანუ კულტურით. იგი ვერაფერს ხელაქნებ ვეძებთ ვერ აუგებს საქართველოს (და ვერც რუსეთს) უბრალოდ თვით გადარჩენის ინსტიქტიდან გამომდინარე, და ის დამცველი მექანიზმებიც მოესპობა, რომელიც აქამდე ჰქონდა, როგორც ეთნო-ადმინისტრაციულ და კულტურულ ავტონომიას, რომელსაც იცავს საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო სამართალი (თუნდაც საქართველოზე ზემოქმედების თეალსაზრისით). ცხადია, „დიდი ოსეთად“ გარდაქმნილ საქართველოს ამ ნაწილში შეიძლება რუსეთი დასახლდეს სამხედრო ნაწილების ხაზით, მაგრამ ეს საკითხის სრულიად სხვა ჭრილია და ოსთა „თვითგამოყოფისა“ და „თვითგადარჩენის“, „ადამოუკიდებლობის“ საკითხს არ ეხება. ამ შემთხვევაში სახეზე გვექნება იმ საიდუმლო მექანიზმის წარმოჩინება, რომელიც თავისთავად გამოააშკარავებს ჭეშმარიტ მამოძრავებელს ამ ესკალაციონისა (აკი გამსახურდიამ თვითვე მოიწვია დამოუკიდებელ საქართველოში რუსეთის შსს ჯარები! – იხ. ჩემი წერილი „ივ.“ 36 გვ. 61) და საბოლოოდ ახდის ნიღაბს „მთელს ამ ორომტრიალს“, რომელსაც პერესტროიკის დიდი სპექტაკლი შეიძლება ეწოდოს. მაგრამ მამინ, საქართველოს, რომელმაც აღადგინა თავისი დამო-

უკიდებლობა რეფერენდუმის საფუძველზე, სრულად სხვა პოზიცია და საბრძოლო საშუალებები გაუჩნდება - ვგულისხმობ იმ საქართველოს, და იმ მებრძოლებს, რომელსაც და რომლებსაც დამოუკიდებლობა და თავისუფლება ცივილიზებული, განვითარებული და ყოველმხრივ მდიდარი ქვეყნის ამყენებისათვის ესაჭიროება და არა საკუთარი შოენისტურ-პროცინციალური და პოლიტიკური ამბიციების განსამტკიცებელ ს ა ვ ა ტ რ ო საქონლად. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ „ოსური პროპლემა“ ხელგონურად იქნა წარმოქმნილი, გაღვივებული და სამეზობლო ტრაგედიაზე მიყვანილი როგორც ოსებში მომუშავე, ასევე ქართველებში მოქმედი იმ ძალების მიერ, რომლებსაც თავის მიხედვით სხვა არაფერი ჰქონდათ თუ არ არსებული ურთიერთობების ესკალაციის ხარჯზე საკუთარ ძალაუფლების მოპოვება და განმტკიცება, ნაციონალ-ტოტალიტარული წყობის დაფუძნებით და ყოველგვარი რეალური სამართლებრივი საფუძვლების აღტერნაციის მოსპობის გზით. ამ ესკალაციის უკან იგროსობა ტოტალიტარული ც ე ნ ტ რ ი ს (იქნება იგი განსახიერებული მოსკოვის, კვბ-ს, ჩოჩიევის, გამსახურდიას თუ სხვათა ხაზით) მძლავრი მაჯისცემა და ცდა ამ ესკალაციის ნიადაგზე მოახდინოს საქართველოს ხელახალი ინკორპორაცია „ახალ კავშირში“ და მით „ბედი გადაუწყვიტოს სამუდამოდ“. უნდა ითქვას ისიც, რომ ოსების ექსტრემისტული მოთხოვნების სამართლებრივი აბსურდულობა თავიდანვე ცხადი იყო და ამიტომაც ამ საკითხმა მაშინ მოსკოვის (გორბაჩოვის და ახლაც, ელცინის) უარყოფითი რეაქცია გამოიწვია (არ ვგულისხმობ მას მედიას და იმ რამდენიმე მემარცხენე ინტელექტუალს, რომელიც თავის კარიერას ამგვარ კონსულიტურ სიტუაციაზე აფუძნებს და საქართველოს დისკრედიტაციას ახდენს ისე, თითქოს ვერ ხედავდეს ამ ესკალაციის ჭეშმარიტ ავტორს: - ქართველს, ოსს თუ რუსს), და არაეინ ს ე რ ი ო ზ უ ლ ა დ ეს საკითხი არ განიხილა, რადგან თავიდანვე ნათელია საკითხის ამგვარად დასმის სრული აბსურდულობა და უსამართლობა. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ „ხამხრეთ ოსეთის“ მოთხოვნაში ახალი სახელმწიფოს დაარსების ცდაა ფაქტობრივად, რაც შეუძლებელია განხორციელდეს იმ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომელსაც ეს ახალი სახელმწიფო ეყოფა. ჰელსინკისა და პარიზის ხელშეკრულებით საქართველოს საზღვრების ხელყოფა საქართველოს თანხმობის გარეშე შეუძლებელია. დღეს საქართველოს დამოუკიდებლობა იმ საზღვრებში არის აღდგენილი (და არა ახლად შექმნილი! - რაც თავისთავად არ ითხოვს „საკავშირო“ თანხმობას!) რომელშიდაც იგი იმყოფება და ცნობილია ამ საერთაშორისო აქტებით, რომლებსაც, სხვათა შორის, სასწრაფოდ უნდა მოვაწეროთ ხელი, როგორც დამოუკიდებლობა აღდგენილმა ქვეყანამ და საერთაშორისო სამართლის სუბიექტივმა (უნდა მოვითხოვოთ ეს!), ამიტომ საჭიროა შევიგნოთ, რომ ვიდრე მუშტების ქნევა და ვიწვებდეთ ამა თუ იმ საკითხის წამოჭრისას, საჭიროა ამ საკითხზე დაფიქრება და მისი ყოველმხრივი შესწავლა სამართლებრივი თვალსაზრისით, რომელსაც თუ ჩვენს კულტურულ ტრადიციასაც დაუვლებთ საფუძვლად, არ იქნება ურიგო.

ჩემის აზრით, შემთავსებით პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა არის ვერ ნეოტოტალიტარული ტენდენციებისა და ერთობ წყობის დამფუძნებელი დიქტატორისაგან განთავისუფლება და ამავე დროს განკურნება და განთავისუფლება „ისტორიოფრენიდან“, და საქართველოს ოსების საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრების აღდგენის დანერგვა, რათა იქ მაცხოვრებლებს და იქიდან ლტოლვილებსაც

მოვეყნო საშუალება ხორძალურ პირობებში დაბრუნებისა და არსებობისა.

დაანლოებით ამავე რიგისაა ყველა სხვა „ეთნოკონსულტიტური სიტუაციაც, რომელიც ნაციონალ-ტოტალიტარისტებმა და მათ უკან ამოფარებულმა „ცენტრმა“ გააღვივებს საქართველოში სხვადასხვა ხერხითა და მეთოდით.

ტოტალიტარისტების ბნელი გვირაბიდან გამოსვლა საქართველოში რომ ჯერ არ დაწყებულა, ამას ისიც მოწმობს, რომ ნაციონალ-ტოტალიტარულმა ძალაუფლებამ თუმცა ფორმალურად არ აკრძალა პრესა, მაგრამ სხვადასხვაგვარი პერესტროიკებითა და ცენტრალიზმით გააუქმა მთელი რიგი გაზეთები, ხოლო სხვებს კი ისეთი პირობები შეუქმნა, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის „საუკეთესო დროებს“ მოგვაგონებს. თანდათან ძალაუფლებამ არსებული ოპოზიცია, დარჩენილი უკანასკნელი კომუნისტების დროიდან, „ბანდიტებად“ გამოაცხადა, რითაც მასზე „ნადირობის ლეგიტიმური უფლება“ მოუპოვა თავისთავს - მსგავსება ნაციონალ-სოციალისტურ და კომუნისტურ „კანონიერებასთან“ აშკარაა; 2 სექტემბრის დემონსტრანტების წინააღმდეგ, ისე, რომ შეკრებები საზოგადოებრივ ადგილებში წინასწარ არ აკრძალა, და არც „საგანგებო წესები“ გამოუცხადებიათ, გამოიყენეს „ეროვნული ომონი“, რომელმაც უხროლა მშვიდობიან დემონსტრანტებს, რითაც „ეროვნულად“ გაიძეოდა 1989 წლის 9 აპრილი და... „მოიმკო ის რაც დათესა“... მოყოლებული 2 სექტემბრის ამ სისხლიანი ანგარიშსწორებიდან, ვიდრე ნოემბრის დასასრულამდე არ შეწყვეტილა ოპოზიციის კონსოლიდირების პროცესი და საპროტესტო აქციები. ადრე დაპატიმრებულ პროფ. ჯაბა იოსელიანს და „მხედრონის“ წევრებს, მიემატნენ ერ-ლემ. პარტიის თავ-რე გია ჭანტურია და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები; გიორგი ხაინდრაკა, და სხვანი; საჯარო საშუალებებს მოკლებული დემოკრატიული ოპოზიცია, აკვისტოს „პუტჩიდან“ მოყოლებული ქუჩაში გამოსული, უკვე აშკარად მოითხოვს პრეზიდენტის (ანუ საერთო კვალიფიკაციით დიქტატორის) გადადგომას. კრახისი განსაკუთრებით გამწვავდა, როდესაც სრულიად „სხვა მიზნით“ შექმნილი „გვარდიის“ უმეტესობამ პრეზიდენტს დაუმორჩილებლობა გამოუცხადა „პუტჩის“ დროს მიხი დაშლისა და შინაგან სამინისტროს განკარგულებაში გადაცემისათვის, და გენერალ თენგიზ კიტოვანთან და პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუასთან ერთად დადგა ოპოზიციის მხარეს. ნაციონალ-ტოტალიტარულ დიქტატურას, რომელიც სიტყვებით ერთს ქადაგებს და საქმით კი იმის საწინააღმდეგოს აკეთებს, აშკარა საფრთხე შეუქმნა. ყოველივე დამოკიდებელი იქნება იმაზე, შეძლებს თუ არა ოპოზიცია ძალთა კიდევ უფრო შემჭიდროებას და დაიხვეს თუ არა იგი უკან შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში გვარდიასა (კიტოვანი, სიგუა) და სხვა დიქტატურის მოწინააღმდეგე სამხედრო ძალებსა, და დიქტატორს და მის მომხრეებს შორის. რა თქმა უნდა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „გოფილ“ საბჭოთა არმიის (კაკაბაისის საოლქო ჯარისა და შსს ჯარების ნაწილების) მიერ ნეიტრალიტეტის დაცვასაც საქართველოს შიდა სახელმწიფოებრივი კრიზისის დროს. მაგრამ ამ შემთხვევაში, თუ საერთო სიტუაციიდან გამოვალთ, შეიძლება ითქვას, რომ ოფიციალური ხარევა მათ არ აწყობთ და ისინი უეჭველად მიუშვებენ სიტუაციას, რათა შემდეგ უფრო გარკვეული პოზიცია დაიკავონ, და მაქსიმალური სარგებელი მიიღონ.

პარიზი, ნოემბერი 1991 წ.